ტფილისი ... საჯარო ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 945 ოთხშაბათი, 17 ივლისი 1913 წ. № 945

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ. დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

გვირგვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით კ. ქავთარაძისა,
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი** ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი** გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე** შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი** ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი** ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი** ნ. ა. ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი** რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა** ლ. ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე** ი. ე. ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი** ნ. მ. ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი** ა. ი. ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულ.	ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე** შ. ა. ყოველ დღე 12½—1 **ფედოროვი** გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი**. მ ა. შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი** ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი** გ ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი** ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი** ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი** ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე** ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო

ამით აცხადებს, რომ ჭიათურის

სამოქალაქო სკოლის სამთო-სატეხნიკო განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები

არა ნაკლები 16 წლისა და არა უმეტეს 22 წლისა, რომელთაც ექნებათ დამთავრებული სამოქალაქო სასწავლებელი 1872 წლის დებულების მიხედვით, ან რომელიმე ასეთივე უფლებიანი სასწავლებელი. მხოლოდ განყოფილებაში შესვლის მსურველნი გამოიცდებიან რუსულ ენაში, არითმეტიკაში და გეომეტრიაში.

გამოცდები დანიშნულია 28 აგვისტოსათვის.

თხოვნებს მიიღებს ჭიათურის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორი 1913 წ. 20 აგვისტომდის. 1391

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 17 ივლისს, 1913 წ.

დიდი საგასტროლო წარმოდგენა ესწრაფეთ, ნახეთ მთელ ქვეყანაში ცნობილი ჰაერის მეფენი, მფრინავი

4 „ეშმაკი“

რომელნიც დღეს შეასრულებენ ახალს ორმაგს და ერთეულე პირუეტებსა და სალტო-მორტალეს. მათი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, ცირკის გუმბათ ქვეშ. 4 ეშმაკის მოგზაურობის გეგმა: რომი, მოსკოვი, ტფილისი. დირექცია რეკლამას უწევს მხოლოდ კუთნეულად. დღესვე მონაწილეობას იღებენ: გამოჩენილი მოჯირითე ბულგარელი ქალი **თამარა**. სახელგანთქმული მუსიკალური ექსცენტრიკები **ბ. ბ. ბროკასები** ცხენზე სალტომორტალეს გამკეთებელი ბ. **უოზეფი** ტფილისელთა საყვარელი კომიკოსები და ოხუნჯები ძმ. **ვინჩენცოები** და მთელი პირველხარისხოვანი დასი.

დღეს კონტრამარკები არ გამოდგებიან.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა. 439. გამგე: ლ. მ. ხუნდაძე

გრძლის ლიმილი

ი. გრიშაშვილისა.

1359

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1035

ექიმი ნ. ხ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე.

ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **ხემიონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ა. შ. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი კბილისა არჩილ დოლიძე

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალად., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ქართული პრესა

14 ივლისიდან ტფილისში გამოდის ახალი ორ კაპიკიანი გაზეთი „ახალი აზრი“. ტრადიციულად პირველ ნომერში ახალი გაზეთი გვამცნებს, თუ რას ემსახურება იგი და უპირველესად ყოვლისა აღნიშნავს, უპარტიო ვართ. მაგრამ იგი თავისი მიმართულების ამ უარყოფითი დახასიათებით არა კმაყოფილდება და დადებით პროგრამასაც გვიხსნის. მიზეზი ახალი გაზეთის დაარსებისა ბევრნაირი ყოფილა.

„წინად თუ ერთ გაზეთს უჭირდა არსებობა,—სწერს „ახალი აზრი“,—არა ჰყავდა მას მკითხველი,—დღეს, ჩვენი მხცოვანი პოეტის, აკაკის, თქმისა არ იყოს: ქართულ გულს ახარებს ის მოვლენა, რომ შვიდი-რვა გაზეთი გამოდის ქართულ ენაზე და კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას“.

მაშასადამე, ხალხის მოთხოვნილება ყოფილა პირველი მიზეზი. მაგრამ არის მეორე უფრო საგრძნობი მიზეზი, რომელსაც უსათუოდ უნდა ანგარიში გაეწიოს.

„ამასთან ერთად ამ გაზეთთა უმრავლესობას დაეპატრონა „მესვეურობის“ მძებნელი სხვა და სხვა ჯგუფები, რომლებმაც ვერ აპატიეს ხალხს ის, რომ მან თვითონ მონახა თავისი ახლობელი მეგობარი და პრესსა გინებისა და ლანძღვა-თრევის ასპარეზად გადააქციეს“.

ამ ამონაწერში ორი ღრმა აზრია დაფარული. საჭიროა მათი გამოძიება.

ჯერ ერთი, „ახალი აზრის“ რედაქციას არსებულ ჟურნალ-გაზეთებში ლანძღვა-გინების მეტი ვერაფერი უპოვნია. რამდენიმე წელიწადია არსებული გაზეთები, მიუხედავად აზრთა სხვა და სხვაობისა, განსაზღვრულ საზოგადოებრივ მიმართულების გამომხატველად ითვლება, და, თურმე, იქ ლანძღვა-გინების მეტი არაფერი ყოფილა! მაშ, რამ შექმნა ჩვენში საზოგადოებრივი მიმართულებანი? მაგრამ უკაცრავად. არავითარი საზოგადოებრივი მიმართულებანი არ არსებობს. „მესვეურები“ მხოლოდ „ცდილან“ თავიანთი აზრი მოეხვიათ ხალხისთვის, მაგრამ მან

„ივითონ მონახა თავისი ახლობელი მეგობარი“.

არსებული გაზეთები უნდა გამოვრიცხოთ, რადგანაც

„უსაჭიროესი საკითხები, სახალხო კეთილდღეობისა და წარმატების წინ წამწევი მოთხოვნილებანი, ხალხის სწავლა-განათლების და კულტურის აღმნუსხავი მოვლენები, მათი გაღრმავების და გაზრდის ძაჩვენებელი აზრები თითქმის ვერ პოულობენ ადგილს არა საკადრისი პოლემიკით გატაცებულ გაზეთების ფურცლებზე.“

როგორცა ჰხედავთ არაფერი ზემოდ ჩამოთვლილი არსებულ გაზეთებში არა ყოფილა. რასაკვირველია, ხალხიც ამ გაზეთებს ვერ დაისახავდა „ახლობელ მეგობრად“. მაშ, ვინ იპოვნა მან, ვინ?

„ამიტომ დაარსება იაფ ფასიანი, ღარიბი მკითხველებისთვის—**ხალხისთვის** ხელმისაწდომ გაზეთისა, საცა ადგილი ექნება მის დღიურ ჭირ-ვარამზე ლაპარაკს, გადმოცემული და განათებული იქნება ყველა მის ცხოვრების მიერ წარმოშობილი საკითხები... აი „ახალი აზრის“ მიზანი“.

ასე ათავებს თავის გრამატიკულად კუდ-შეკვეცილს აზრს „ახალი აზრი“.

„ისპანიაში აღმოჩნდა მეფე, ეს მეფე ვარ მე“.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„უტრო როსიაში“ მოყვანილია ზოგიერთი ცნობა იმ ჩვეულებათა შესახებ, რომელიც კავკასიელ ერებს კერპთაყვანის მცემლობის დროიდან დარჩათ. მაგალითად, როდესაც გვალვაა—სახედრებისა და სხვა ცხოველების დაბანა და სხვა. გაზეთი დასძენს, ხალხი ღრმად არის დარწმუნებული, რომ თუ ასეთი ჩვეულება შეასრულეს, წვიმა მოვაო“.

ასე ხდება ხოლმე მუდამ რუსეთის პრესაშიც და საზოგადოებაშიც. კავკასიის შესახებ მხოლოდ ზღაპრული ამბები გაუგონიათ, ან აქაური კორესპონდენტები იმით არიან დაინტერესებული, რომ რაც შეიძლება სენსაციური მასალა გაჰგზავნონ. რუსეთის გაზეთები და საზოგადოებაც ამის გამო დარწმუნებულია, რომ კავკასიაში ველური ხალხი სცხოვრობს, ერთმანეთსა ჟლეტენ, ქუჩაში სიარული არ შეიძლება და საერთოდ არავითარი კულტურა არ არსებობს. მხოლოდ საკითხი ისაა, ვინ უფრო უკულტუროა: ამ გაზეთების მეთაურნი, თუ თვით ის ერთვნებანი, რომელთაც ეს გაზეთები ასწერენ.

⁂

„რუსკოე სლოვო“-ს სიტყვით, სამხედრო საექიმო აკადემიაში წელს სტუდენტებს, ახალი წესდების ძალით, იღებენ, იმ დროს, როდესაც ეს ახალი კანონი, რომელიც 1913 წლის 15 მარტს იყო გამოცემული სამხედრო უწყებაში სენატმა არ გამოაქვეყნა ე. ი. არ დაამტკიცა.

„დარჩა 87 მუხლი“—ამბობს გაზეთი,—„და ამბობდნენ კიდევაც, რომ სენატის გადაწყვეტილების შემდეგ ახალი წესდება გამოცემული იქნება საპარლამენტო კანიკულების დროსო, მაგრამ ეს ხმები აქამდე არ გამართლებულა“.

ამიტომ, გაზეთის აზრით, ახალი წესდება ძალაში არ შესულა; ძალაში ისევ ძველი წესდება რჩება და, თუ აკადემიის მთავრობა მას არღვევს, იგი კანონის წინააღმდეგ მიდის:

„სამხედრო საექიმო აკადემიის უფროსის მოქმედება ამტკიცებს, რა ღრმა ფესვები მოიკიდა კანონის უპატივცემლობამ. ჩვენს წინაშე მეორდება პერმის გუბერნატორის ისტორია, რომელმაც უარი სთქვა სენატის ბრძანების სისრულეში მოყვანაზე, რადგანაც ეს ბრძანება მის პირად შეხედულებას ეწინააღმდეგებოდა“.

დასასრულ გაზეთი „ცნობების მომცემ ბიუროს“ ეკითხება: როდის და რა წესით მოიყვანა სისრულეში აკადემიამ ეს კანონიო. გაზეთი ძლიერ გულუბრყვილო უნდა იყოს თუ იგი კანონის გვერდის ახვევამ ალაშფოთა. განა ერთხელ და ორჯერ გაუგონია გაზეთს რუსულივე ანდაზა: „კანონები რუსებში იმიტომ არსებობენ, რომ მას გვერდი აუხვიონო?“

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ შაბათს, 13 ივლისს, მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ჩვენი დრამატურგი **იოსებ გედევანიშვილი**, რომელიც ამ ერთი თვის წინად დაპატიმრეს.

◆ **საკოოპერაციო კურსები** 15 ივლისს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით საკოოპერაციო კურსები გაიხსნა. კურსების გახსნამდე შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა მეფის მოადგილის თანაშემწემ სენატორმა ე. ა. ვატაციმ, რომელიც ჯერ არსებითად შეეხო ამ გვარ კურსების დიდს მნიშვნელობას და შემდეგ მიულოცა ქართულ სამეურნეო საზოგადოებას ასეთ კეთილ საქმის თაოსნობა. დასასრულ კრება გახსნილად გამოაცხადა. ამის შემდეგ საინტერესო ლექცია წაიკითხა მოსკოვიდან ჩამოსულმა ცნობილმა ლექტორმა ა. ს. ორლოვმა. ლექცია შეიცავდა რუსეთისა და ევროპის საკრედიტო საზოგადოებათა საერთო მიმოხილვას. ლექტორი შეეხო ასეთ დაწესებულებათა განსხვავებით ნიშნებს, მათ დაყოფას, წევრთა რაოდენობას, ასეთ დაწესებულებათა რიცხვს, თანხას, მომავალს და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ საკრედიტო დაწესებულებებს საზღვარგარეთ დიდი გავლენა აქვთ პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, როგორც კაპიტალისტურ წყობილების უკიდურესობამდე განვითარების შემაფერხებელსაო. ლექციამ მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. კურსების გახსნასა და ლექციას დაესწრნენ: მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი, ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრნი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი და 70—80-დე მსმენელი. ქართულ ლექციებს წაიკითხავენ დილაობით—კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობაში, ხოლო რუსულს—საღამოობით—კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

გუშინ, დილით, კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობაში კ. კანდელაკმა პირველი ქართული ლექცია წაიკითხა შემდეგს თემაზე: „საკრედიტო დაწესებულებათა მნიშვნელობა სხვაგან და ჩვენში“.

გუშინ დილით ხარკოვიდან ტფილისს ჩამოვიდა საკოოპერაციო საქმეთა მცოდნე ლექტორი ა. ა. ევდოკიმოვი, რომელიც ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ მოიწვია საკოოპერაციო კურსებზე ლექციების წასაკითხავად. ტფ. გუბერნატორმა ა. გ. ჩერნიავსკიმ სურვილი განაცხადა, დაესწროს ა. ა. ევდოკიმოვის ყველა ლექციას.

◆ **ოქმები შეუდგინეს** და სამართალში აძლევენ გ. გორგიჯანოვს, რომლის ბუფეტში (მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან) ფარულად დაკლული გოჭი აღმოჩნდა და ყასაბს კუშჩიევს (რიყეზე), რომლის საყასბოშიც ყალბ ბეჭდიანი ხორცი აღმოაჩინეს.

✦ **ქუჩების მოკირწყვლა.** ქალაქის გამგეობამ დიდის მთავრისა და მიხეილის ქუჩის (კიროჩნი ქუჩიდან პიროგოვისამდე) 6 თვის წინად იჯარით მისცა ინჟენერს ვ. ზ. მირზოევს, რომელიც მოკირწყლას ჯერაც არ შესდგომია. ამის გამო გუშინ ქალაქის გამგეობამ მირზოევს დეპეშა გაუგზავნა ბაქოში და წინადადებას აძლევს, დაუყოვნებლივ მოკირწყვლას შეუდგეს.

✦ **ქალაქის საბჭოს დარბაზის ჭერი** ოთხს ადგილას გაირღვა და შესაძლებელია ჩამოინგრეს და უბედურება დაატრიალოს, თუ დროზე არ იქმნა ღონის-ძიებანი მიღებული. მივაქცევთ ამ გარემოებაზე ქალაქის გამგეობის ყურადღებას.

✦ **პ. გ. მელია,** საბაღოსნო სასწავლებლის გამგე და ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრი ხსენებულ საბჭოს დავალებით გ[illegible]ნ, 16 ივლისს, კახეთს გაემგზავრა, სადაც დაათვალიერებს იქაურ აგრონომის ნამუშევარს.

✦ **გამირის ჩამონგრევა** 15 ივლისს, ღამის 11 საათზე, მირიმანოვის სახლში, სადაც „ორიანტ“-ის სასტუმროა მოთავსებული, ზედა სართულის გამირის პატარა ნაჭერი ჩამოინგრა ქვაშვეთის ეკლესიის მხრით. უბედურება არ მომხდარა. ამ ჟამად ამ სახლის რემონტი სწარმოებს. თვალყურის დევნება მინდობილი აქვს ტეხნიკოსს ჩისლიევს, რომელიც შიოევისეულ სახლის სამუშაოს განაგებდა.

✦ **ხმოსანთა შორის.** 1 იანვრიდან ივნისამდე ქალაქის საბჭოს კრება 24-ჯერ იყო დანიშნული. კრება ერთხელ გადაიდო ხმოსანთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო. ხმოსნებში ყველაზე ბეჯითი აღმოჩენილან შემდეგნი, რომელნიც საბჭოს ყველა კრებას დასწრებიან: ა. ს. ბალდასაროვ-ბუდდანოვი, ა. ი. მიტკევიჩი, გ. ნ. კეილი. და მ. ზ. ქანანოვი. ყველაზე ნაკლებად დაიარებოდნენ კრებებზე: თ-დი პ. ი. თუმანიშვილი, რომელიც ერთ კრებას დაესწრო, მ. ნ. ნეპრინცევი (დაესწრო 3 კრებას,) თ-დი ა. ა. ბებუთოვი (დაესწრო 4 კრებას), და ლ. გ. ევანგულოვი (დაესწრო 4 კრებას).

✦ **საბირჟო ცნობები.** 16 ივლისს ტფილისში პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მ. 30 კ. აძლევდნენ—84 მან. 50 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან. 10 კ., აძლევდნენ—82 მან. 70 კ. დ ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მან. 60 კ., აძლევდნენ—79 მან. 70 კ. (შეთანხმება მოხდა 400 მან.—79 მან. 70 კ.) და სახელმწიფოს მომგებიან ბილეთებისა: პირველ სესხისა—477 მან., მეორისს—346 მან. და მესამისა—313 მ.

სასწავლებლებში

✦ **ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის** მეესამე კლასის მოსწავლენი ამ თვის დამლევს სასწავლებლის გამგის პ. გ. მელიას თაოსნობით ყირიმისაკენ მიემგზავრებიან, სადაც დაათვალიერებენ იმ რაიონებს, სადაც მევენახეობასა და მეხილეობასა მისდევენ.

✦ 1912 წლის აგვისტოს დაიწვა მოტორი, რომელიც მუშტაიდთან მტკვრის ნაპირას იდგა და რომელიც წყალს აძლევდა საბაღოსნო სასწავლებელსა და კავკასიის სააბრეშუმო სადგურს. სკოლის ბაღისთვის წყალი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ამიტომ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ, რომელიც ბაღს ინახავს, შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე, გადაედო 3,000 მან. ახალ მოტორის შესაძენად. დეპარტამენტმა უარი უთხრა და ბაღი დღესაც უწყალოდ არის. ამ მიზეზით ბაღი გადახმა: წახდა ყვავილი, ბოსტანი და ხეხილი. ვაზი იმდენად არ გაფუჭებულა. ზარალი წელს 2,000 მანეთამდეა. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს, თვით დასდგას მოტორი და ფული ნაწილ-ნაწილად ბაღის შემოსავლიდან აინაზღაუროს.

ქუთაისი

✦ 13 ივლისს, ღამის პირველ საათზე გეგუთის ქუჩაზე, ვილაც ბოროტგამზრახველებმა ყუმბარა გაისროლეს. ყუმბარის ხმამ ძალიან დააფრთხო ახლო-მახლო მცხოვრებნი, გათენებისას გამოირკვა რომ არავინ დამარცხებულა, მხოლოდ შანტაჟისტებს პროვოკაციული მიზნით გაესროლათ ყუმბარა. რამოდენიმე თვეა, რაც ქუთაისის მცხოვრებნი მოსვენებულნი იყვნენ ასეთი შანტაჟისტ-პროვოკატორებისაგან, ახლა კვლავ წამოჰყვეს თავი და მშვიდობიან მოქალაქეთ თავიანთი უმგზავსო საქციელით მოსვენებას არ აძლევენ.

✦ „იმერეთის“ მე-17 ნომერში დაბეჭდილი იყო, თითქოს ჭიათურაში ამ ჟამად ყოველ დღე 150—200 ვაგონი იტვირთებოდეს. ეს ცნობა მართალი არ არის. ნამდვილად იტვირთება დღიურად 30—40 ვაგონი. მუშაობა განახლებულია მხოლოდ რამოდენიმე ფირმასთან. მსხვილი ექსპორტიორები და მექარხნეები, როგორიც არიან პერსენაკი, ფორვუდი, კავკასიის მადნეულობის ამხანაგობა და სხ. ჯერ არ შერიგებია მუშებს და მათთან მუშაობაც არ დაწყებულა. ამ დღეებში გავრცელებული ხმები, თითქოს მუშაობა საყოველთაოდ განახლებული იყოს, როგორც გავიგეთ, სიმართლეს მოკლებულია.

✦ დაიბეჭდა და გასაყიდად დარიგდა ნ. ჟ. თხზულება „კოოპერატივები იტალიაში“, წიგნი შეიცავს 220 გვერდს, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს—ხელისმომწერთათვის 50 კაპ. ხელზე გასაყიდად 75 კაპ.

✦ ლეხოურის საზოგადოებამ მთავრობას მისცა 8 კაცი, რომლებიც ყ.ჩაღებს ინახავდნენ და ხელს უწყობდნენ. ამათ შორის ერთი შემოქმედის სასოფლო სამართველოს კანცელარიის მწერალია - ლომჯარია. ყველა ესენი პოლიციამ დააპატიმრა და ოზურგეთის სამაზრო სატუსაღოში გაგზავნა.

✦ 17 ივლისს ქუთაისში დანიშნულია შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მორიგი სხდომა.

✦ ქუთაისის სამოქალაქო სასამართლოს წევრი შჩერბაჩოვი გადაიყვანეს ქ. ერევანში საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად.

✦ ხარბინის ქალაქის საბჭომ თხოვნით მიმართა ქუთაისის ქალაქის გამგეობას, აცნობოს მას ქალაქის ლაბორატორიის მდგომარეობა, ანგარიშები ლაბორატორიის მოქმედებისა და სხვა. ეს ცნობა მას ეჭირვება ლაბორატორიი დასაარსებლად.

გორის მაზრა.

✦ **სეტყვა.** გორის მაზრის სხვა და სხვა კუთხიდან ცუდი ამბები მოგვდის: 14 ივლისს იქ მოსულა სეტყვა და გლეხთა ნაწვავ-ნადაგი საშინლად გაუნადგურებია. დაზარალებულა: ბაკურიანი, ბორჯომი, ახალქალაქი, კავთისხევი, ხანდაკი და სხვა სოფლები.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში პეტერბ. დეპ. სააგ. დეპეშაში **განჯიდან** შეცდომით გვაქვს აღნიშნული „თავი სასიკვდილოდ დაიჭრა“; უნდა იყვეს: „**სასიკვდილოდ დასჭრეს**“.

ჟურნალისტის დღიური

136.

პროტესტები.

კვირაზე მეტია „თანამედროვე ქვეყანა“-ში იბეჭდება „პროტესტები“ ჩვენსა და საზოგადოდ ყველა იმის წინააღმდეგ, ვინც გაბედა და ვერაგულად მოკლულ ილიას სახელს გამოესარჩლა. წამებულ მოამაგეს საფლავშიაც ვერ ეღირსა მოსვენება. ალბათ ესეც იმისი ხვედრი იყო. კამათი სრულიად უბრალო საკითხმა გამოიწვია. პირველად აღიძრა საკითხი იმის შესახებ, თუ რა პირობებში დაიბეჭდა ილიას ცნობილი წერილი „ნუ თუ“. ამ საკითხს თავის თავად არავითარი კავშირი არა აქვს არც ილიას მოკვლასთან, არც იმასთან, თუ რა როლი ითამაშა ილიას მოკვლაში ფ. მახარაძის მიერ ატეხილმა უსაფუძვლო და ავად-მყოფური ჟინიანობით სავსე კამპანიამ ილიას წინააღმდეგ. მაგრამ ფ. მახარაძე არ დასცხრა, თავისი გატალახიანებული კალამი ისევ მოიმარჯვა და და მოინდომა რეაბილიტაცია, მოინდომა გაშავებული ტყავის გადაფხეკა, მოისურვა აღდგენა სახელისა, რომელიც არასოდეს არა ჰქონია, მაგრამ რომელსაც მაინც დიდი დაღი დაასვა ილიას წინააღმდეგ გამართულმა პოლემიკამ.

ჩვენს გაზეთში არც ერთხელ არა თქმულა, თითქოს რომელიმე პარტიას მოეკლას ილია. არა თქმულა ეს არც პირველ აღშფოთების წუთებში, არა თქმულა არც ეხლა, რამდენიმე წელიწადის შემდეგ. ფ. მახარაძე და მისი კამპანია კი ცდილობს საკითხი გადააბრუნოს და ამით თავი დააღწიოს ბრალდებას, რომელსაც თავის თავადაც არ აკლია სისასტიკე ჯერ ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილისა და მერე ჩვენი გაზეთის მეთაურ წერილში საკმარისი სიცხადით იყო გამორკვეული, თუ რა ბრალი მიუძღვის ფ. მახარაძეს და ყველა იმას, ვინც ეხლა ამ ავადმყოფ ადამიანს ამოსდგომია გვერდით და ისტერიულის ყიჟინით უნდა გაანელოს ფ. მახარაძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება. შესაძლებელია „თანამედროვე ქვეყნის“ რედაქციასა და პროტესტანტებს დაავიწყდათ ბრალდებანი, რომლებიც რამდენიმე მუხლად ჰქონდა ჩამოთვლილი ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს. მოვაგონებთ. ფ. მახარაძემ ამნაირად დაახასიათა ილია ჭავჭავაძე: 1) ვაგლახი იდეოლოგი და გათახსირებული მწერალი, 2) ბურჟუა, 3) პასუხის მგებელი სოციალურ უთანასწორობისთვის, 4) ადამიანი, რომელსაც კაცური კაცის სახელი ვერ ეწოდებოდა, 5) კაცი, რომელიც საკუთარის ნათლობის სახელით მოხსენების ღირსიც არ იყო, 6) უზრდელი, 7) ოინბაზი, 8) მაბეზღარი და ჯაშუში, 9) ურცხვი და საზიზღარი, 10) უსინიდისო მესაკუთრე, 11) თვითნება, 12) ზნეობრივად მახინჯი, 13) ხალხის გამყვლეფ-გამტყავებელი, 14) გულქვა და შეუბრალებელი, 15) ბოროტი, 16) ავაზაკი, 17) უსასტიკესი ადამიანი, რომელიც მოთხრობების მასალის მოსაპოვებლად სტანჯავდა გლეხებს, 18) შეუნდობელი დამნაშავე.

ასეთი იყო ფ. მახარაძის დახასიათებით ილია ჭავჭავაძე. დღეს, როდესაც თვით ფ. მახარაძემ იძულებულ გვყო ძველი ცოდვები კვლავ გაგვეხსენებინა მისთვის, გამომდგარან საცოდავი, სიბნელეში მყოფი არსებანი და პროტესტებს აცხადებენ. ვის წინააღმდეგ? არა იმის წინააღმდეგ, ვინც დიდებული მოამაგე ტალახში ამოსვარა, არა იმის წინააღმდეგ, ვინც თავისი ღვარძლიანი კალამით უკანასკნელ ადამიანად დასახა ილია ჭავჭავაძე, არამედ იმათ წინააღმდეგ, ვინც დიდებული მოამაგის უსინიდისოდ შეურაცყოფილ სახელს გამოექომაგა.

რას უშველის პროტესტები? ფ. მახარაძე და ყველა იმისი დამცველი საბრალდებლო სკამზე იჯდებიან იმ დრომდე, სანამ ილიას სახელი მოიხსენიება საქართველოში. საბრალონი არიან ისინი, ვინც ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულან იმდენად, რომ სიმართლე დაინახონ. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი პროტესტები უგვაროდ იბეჭდება, მხოლოდ ნახსენებია ხოლმე ამდენი და ამდენი კაცი აწერს ხელსაო. საჭიროა ყველამ იცოდეს, ვინ არიან ამ პროტესტების ავტორნი, საჭიროა იცოდეს საზოგადოებამ, ვინ უჭერს მხარს დეგენერატ არსებას, რომელმაც სიბოროტით უკვდავჰყო თავისი სახელი. ისტორიამ ასეთ პირთა სახელი არ უნდა დაჰკარგოს...

შინაური.

წერილი გორიდან

ვიცი, ეს ჩვეულებრივ ბევრს ეწყინება, მაგრამ არ შემიძლია ერთხელ კიდევ არ გავიხსენო წერა-კითხვის საზოგად. ადგილობრივი განყოფილება, რომელსაც პირველ ნაბიჯიდანვე უმოქმედობა და უსიცოცხლობა დასწოლია თავს.

შარშან გამგეობის ერთმა წევრმა ბ. ი. კვალიაშვილმა პროტესტის ნიშნად გამგეობის წევრობას თავი დაანება, მაგრამ ის ამისათვის დაჰგმეს, გაჰკიცხეს და იმანაც, ვგონებ, უკან წაიღო უარი. განყოფილების „ქირისუფლებმა“ დაგვაიმედეს—ეხლა რა ეშველება საქმეს, ზაფხულია, ვისვენებთ; გვაცალეთ პატარა და გაჩვენებთ ჩვენს უნარს, საქმიანობას, მუყაითობასაო. მაგრამ... გავიდა დრო, უმოქმედობის წელიწადს კიდევ ერთი წელი მიემატა და წ. კ. საზოგადოებაში კვლავ „არსით ხმა, არსით ძახილი“. კვლავ მყუდროება, უსიცოცხლობა, დუმილი, რომელსაც თითქოს ბოლო არ უჩანს...

„საქმეები“ შეჩერებულია, წევრთა რიცხვი გაყინულია ერთს წერტილზე.

გამგეობის „საქმიანობა“ მხოლოდ იმით აღინიშნა, რომ შარშან ნოემბერში დაიქირავა შენობა სამკითხველოსთვის და დღემდე კარჩაკეტილ ოთახში ქირას იხდის. რა ნაირიც სამწუხარო და სავალალო არ უნდა იყვეს ეს ამბავი, ეს მაინც ფაქტია, ფაქტი მრავალმეტყველი, ფაქტი წ.-კ. საზ. გორის განყოფილების არ არსებულ ცხოვრებაში მომხდარი. როდესაც გამგეობის წევრთ რამდენიმეჯერ შევეკითხეთ ამის შესახებ, გვითხრეს: ნებართვა არ მოგვსლიაო. ბ-ბო, რად ჰქირაობდით შენობას, თუ ნებართვა არა გქონდათ მიღებული? გვიბრძანეთ, ვის ფულს აძლევთ კარჩაკეტილ ოთახში, რომელსაც შვიდი-რვა თვეა მზის სინათლე არა ჰღირსებია?

ხშირად, როდესაც გამგეობის კრებაზე წევრები არ მოსულან, უთქვამთ რას იზამ, საქმეებით არიან დატვირთულიო. ჭეშმარიტად, არა აქვთ დრო. ერთი მთელ მაზრას ექიმობს და წ.-კ. საზოგადოებისთვის არა სცალია, მეორე ფუტკრებს უვლის და გემრიელ თაფლს ამზადებინებს, მესამე აღმზრდელია და სხვა საქმისთ[illegible] დრო ვერ უხელთებია, მეოთხე მაზრის თ.-აზნაურობის საქმეებს განაგებს და სხვ. და სხვ. მაგრამ მიბრძანეთ, რა შუაშია აქ წ.-კ. საზოგადოების განყოფილება? რა შუაში არიან ის წევრები, რომელნიც სამსამ მანეთს გაძლევენ საქმისთვის და არა თაგვების სახრავად, არ-არსებულ

სამკითხველოს ქირის [illegible]
შუაში არიან ის პაწია ბალღები, რ
მელნიც მუდამ წელს რჩებიან ს
ლის გარედ უადგილობისა გამო
ციურ მანანასავით მოელიან წ.-
საზოგადოების სკოლას?..
თუ არ შეგიძლიათ საქმის გ
ცხოველება, სულის ჩადგმა, და
ბეთ თავი თქვენს მოვალეობას
ალაგი დაუთმეთ სხვას, რომელნ
მეტი ენერგიით, მეტი სიყვარულ
მეტი თანხმობით გაუძღვებიან სა
გადოების მიერ დაკისრებულ ძვ
ფას საქმეს...
საჭიროა წ.-კ. საზოგ. მთავარ
გამგეობამ ეხლა მაინც მიაქცი
ყურადღება ამ განყოფილებას, გა
სინჯოს მაჯა და თუ მას სიცოცხლ
ნიშანი აღარ ეჩანს, დაჰკეტოს მაინ

სან-განიძე.

მოწერილი ამბებ

სოფ. ასკანა (გურია). იყო ის
დრო, როცა ოზურგეთის მაზრა
ასკანა ერთ საუკეთესო სოფლ
ითვლებოდა, მაგრამ მას შემდ
რაც „მოდაში“ შემოვიდა რეპრესი
ლი ზომები ასკანამ სხვა სოფლ
ბთან შედარებით მეტი ზარ
ლი განიცადა. ვის არ ახსოვს გამ
ჩენილი „ქველმოქმედი“ ერმოლოვ
რომელმაც 60.000 მანეთის მეტი ვე
მოასწრო ხალხის ფულების შე
1908 წ. საზოგადოებამ აირჩია 5 კ
ცისაგან შემდგარი სარევიზიო კ
მისია, რომელსაც დაევალა, გად
სინჯა სოფლის სასამართლოში
წარმოები საქმე. განიხილა-რა კომ
სიამ საქმის წიგნები, აღმოჩნდა, რ
1903 წ. 1 იანვრიდან 1909 წ. 1 მაისამ
დე ერთ მამასახლისს, მის კანდიდა
და ერთ მწერალს გაუფლანგავთ ს
ზოგადოების კუთვნილი ფულებ
1182 მან. 75 კაპ., ამავე დროს ფ
ლების ამკრებთ და „პომოშნიკებს“
2126 მან. 53 კ. როდესაც კომისი
გაფლანგული ფულების რაოდენობ
გამოაქვეყნა, იმ დროს ასკანის ბე
განაგებდა კანდიდატი შალიკავ
საზოგადოების სიხარულს საზღვარ
აღარ ჰქონდა: შალიკავა გაფლანგუ
ფულებს აიღებს და ათასგვარ გად
სახად ჯარიმების ერთ-ერთ დარგ
მაინც დაგვაკმაყოფილებთო, მაგრ
საზოგადოებას აქაც უმტყუნა ბედმ
შალიკავამ ეს ფულები თუმცა აიღო
მაგრამ არა საზოგადოების სასურვ
ლად, არამედ როგორც მას და მ
თანამოზიარეთა ეპრიანებოდათ;
იგი უძლურებათანაც ძალმომრეო
იხმარეს. 1909 წ. მთავრობამ ას
ნაში გამოგზავნა ხუთი სტრაჟნიკ
აჭარიდან ვიღაც ქათამიძე მამასა
ლისად, რომელთა ჯამაგირი და
შის ფასი საზოგადოებას წლიურა
უჯდება 3170 მ. ქათამიძის მამასა
ლისობის დროს ცნობილ ყაჩაღ
შევარდნაძეს უეცრად გზაში წ
შეეჩეხა—ერთი სტრაჟნიკი რომ
ლიც შევარდნაძემ მოჰკლა, რის გ
მო ქათამაძე და სტრაჟნიკებ
მთავრობამ ასკანას მოაშორა დ
სამაგიეროდ ქობულეთიდან გამ

საზოგადოებრივი აზრები

მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში *).

„ბატონებო! ყოვლის უწინარეს, მთელი თქვენი არსებით შეიყვარეთ თქვენი სამშობლო, შეისწავლეთ მისი მდგომარეობა, ემსახურეთ მას შეძლების გვარად და მხოლოდ მაშინ შეიძლებთ გაიგოთ, დააფასოთ და შეიყვაროთ სხვებიცა. ვინც უარჰყოფს თავის სამშობლოს, ახლობელთ, საკუთარ ოჯახს, მას არ ძალუძს წმინდის გულით შევიდეს სხვის ოჯახში და თუ შევა, მხოლოდ როგორც ცბიერი მონა ან როგორც ფლიდი ფარისეველი, ერთიც და მეორეც ქართველის ბუნებას ეწინააღმდეგება...“**) ამ სიტყვებით დამოძღვრებული გამოისტუმრა პროფესორმა დავით ჩუბინიშვილმა საქართველოსაკენ ის ბრწყინვალე თაობა, რომელსაც „თერგდალეულთა თაობა“ ეწო[illegible].

ეს ის დრ[illegible]ყო, როდესაც საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, ევროპაში ხალხის აღორძინების შემდეგ, აუტანელ ტვირთად მიაჩნდა ბატონ-ყმური ურთიერთობა; ეს ის დიდებული დრო იყო, როდესაც ხალხში გადასროლილმა აზრებმა შეარყია აქამდის დაწყნარებული ცხოვრების ზღვა და მთავრობამაც ძლიერ წინდახედულად მოინადირა ხალხის გული. ეს ის დრო იყო, როდესაც კორსიკანელი გენიოსი ბედის მაძიებელის ხმლით მთელს ევროპაში, ვითომდა, კოსმოპოლიტიზმს, ნამდვილად კი ფრანგულს სახელმწიფოებრივ ნაციონალიზმს ამყარებდა და რომელსაც შეერთებულის გულისწყრომით შეხვდა ყველა ცოტათი მაინც სასიცოცხლო ძალით აღჭურვილი ერი. მაშინ ჩეხებმაც-კი, რომელთაც მარქსი „მომაკვდავ“ ნაციას***) უწოდებდა, მოითხოვეს თავისი ეროვნული უფლების აღდგენა. ამ დროს დაიწყო ბრძოლა იტალიის აღდგენისათვის, გაერთიანდა გერმანია, ავსტრიის ერებს მიენიჭათ ავტონომია და საბერძნეთმა თავისუფლებისათვის სისხლი დაღვარა. ამ დრომ დაჰბადა ისეთი პატრიოტები, როგორც მაძინი და გარიბალდი, რომელთა თავგანწირულ ბრძოლას ევროპა აღტაცებაში მოჰყავდა. ისინიც იმავე მისწრაფებით იყვნენ გამსჭვალულნი, როგორითაც თავისი სამშობლოს სახელოვანი შვილი მაკიაველი, რომლის ძეგლი სწარწერაც ამბობს „tanto nomini nullum par elogium“, ასეთს სახელს ქება არ ეჭირვებაო, ე. ი. ისინი იბრძოდნენ იტალიის გაერთიანებისათვის, მის აღორძინებისათვის. თვით მეცნიერებაც კი, რომელზედაც ამბობენ: ყოველ ნაციონალურ იდეაზე მაღლა უნდა იდგასო, თვით ეს მეცნიერებაც კი შეიღება ნაციონალური ფერადებით. მაგალითად: „იურისპრუდენციაში (სავინი); პოლიტიკურ ეკონომიაში ლისტი; ფიხტეს პლანი ნაციონალური აღზრდისა და ნაციონალური პოლიტიკა და ფილოსოფია (გერმანიაში); საფრანგეთში მიშლე; რუსეთში სლავიანო-ფილები და ნაროდნიკები; პოლონეთის მესსიანიზმი; ჩეხური ჰუმანიზმი (გერმანიის მზგავსად ნაციონალურ ფილოსოფიის შექმნის ცდა)“*) ყოველივე ამას შეუძლებელი იყო თერგდალეულთა თაობაზე არ მოეხდინა ძლიერი შთაბეჭდილება და ჩვენშიაც არ გაფართოვებულიყვნენ ის ეროვნულნი მისწრაფებანი, რომელნიც, როგორც ზემოდ დავინახეთ, აქამდისაც არსებობდნენ. „თერგდალეულები“, რომელნიც აღიზარდნენ მე-60 წლების რუსეთის მწერლობის გავლენის ქვეშ და გაჟენთილი იყვნენ ევროპის ახალი აზრებით და კეთილშობილური მისწრაფებით, თავდავიწყებით მიეცნენ სამშობლო ქვეყნის ბედისთვის ზრუნვას. სამშობლოს ინტერესების ფართოდ შეგნებამ და პატიოსანმა მისწრაფებამ მიახვედრა ეს თაობა, რომ ქვეყნის ჭირ-ვარამი ერის იმ უმრავლესობას შეუძლია იტვირთოს, რომელსაც აქამდისაც მისი ბედი თვისი ძლიერი და დაუღალავი მხრებით უტარებია. ინტელიგენციამ მხოლოდ მათში იპოვნა ჯერ კიდევ გაურყვნელი გრძნობები და მტკიცე გული, მხოლოდ გონების განვითარება იყო საჭირო და ამისთვისაც გულის სიწმინდით გადასდო თავი მათ წრეში ცოდნის სინათლე შეეტანა. გამარჯვებული გამოვიდა ეგ თაობა, რადგანაც იგი იმ ახალი იდეების წარმომადგენელი იყო, რომელთაც ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაყენებს, როგორც მთიდან დაქანებულს ნაკადულს.

არ არის ისეთი აზრი, ისეთი სიმართლე, რომელიც უკუნისამდე იდეალად და სიმართლედ დარჩეს,—ისინი ძველდებიან; აგრეთვე ის ახალი იდეებიც დაძველდებიან, რომელნიც წასულმა საუკუნომ გვიანდერძა, მაგრამ ჯერ კი ისინი ისევ სპეტაკნი არიან დ ისევ ისე მომხიბლველნი. ჩვენს ქვეყანას იგინი ჯერ არ მოუნელებია დ ამიტომაც ის პირნიც, რომელთაც ეს იდეები დასთესეს უწინდებურ დიდების შარავანდედით არიან მოსილნი. ეს თაობა საკმაოდ მომზადებული გამოდგა მაშინდელ საქართველოს მარტივის, თითქმის სრულიად უიდეალო ცხოვრებისათვის ელფერი შეეცვალათ; მან შეიძლო სამოღვაწეო ასპარეზი ფართოდ შემოეფარგლა და საზოგადოებისათვის ჩაენერგა ღრმა საზოგადოებრივი აზრები. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არიან ამ თაობიდან ის დევ-გმირნი, რომელნიც ბუმბერაზ ასდრერობის მზგავსად ისეთ ღრმა კვალს სტოვებენ, რომ აგერ 50 წლის განმავლობაში მათ ნაკვალევს დღემდისაც არ გადასცილებია ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა. რომაელები ამბობდნენ: „ყველა გზა რომში მიდისო“ და, ამ თქმისა არ იყოს, ჩვენ შეგვიძლია, ვსთქვათ: ყოველივე მიმდინარეობა ქართულ ცხოვრებაში მე-60 წლებამდის ამ თაობის მოღვაწეობას შეერთო და შემდგომ მიმართულებათაც ამან მისცა დასაბამი. ამ თაობამ გაასპეტაკა და გააფართოვა ის აზრები, რომელიც ძველ თაობას აფიქრებდა და მკაფიოდ გამოჰხატა ის ახალი აზრებიც, რომელიც აფერადებს აწინდელ ცხოვრებასაც.

თავდაპირველად ინგლისში ჩასახულმა დიადმა იდეებმა საფრანგეთში დიდი რევოლუცია გამოიწვია; ტალღა განახლებისა ერთი ქვეყნიდან მეორეს გადასწვდა და, თუმცა მაშინვე არ დაინგრნენ კედლები საუკუნოებით განმტკიცებული უსამართლოებისა, მაგრამ მონასაც შეაგნებია თავისი ღირსება, ეგ კი იმისი უტყუარი თავდები იყო, რომ ადრე თუ გვიან, ასე თუ ისე, ცხოვრება გამოიცვლებოდა. იმ დროს, როდესაც ევროპაში იმსხვრევა ბორკილი და ითრგუნება მონობა, რუსეთში იგი სრულ ძალაშია, მაგრამ აქაც დიდხანს არ დარჩენილა ცხოვრების ზღვის ზედაპირი შეურყეველი. მე-XIX საუკუნეში რუსეთი უკვე ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცევა მაშინდელ ომების წყალობით, რომელნიც მის სასარგებლოდ დაბოლოვდნენ. ამის შემდეგ იგი იძულებული იყო ევროპის საქმეებშიაც ჩარეულიყო. რევოლიუციონურ საფრანგეთის წინააღმდეგ ომი ჯერ კიდევ პავლეს დროს იყო დაწყებული და ახლა ალექსანდრე იდგა ნაპოლეონის მოპირდაპირედ. 1812 წელს ნაპოლეონის ძლიერება ნაფოტივით დაიმსხვრა რუსეთის ბუნების და რუსის ხალხის ეროვნულ ინსტინქტის მკერდზე; რუსეთის ძლევამოსილმა მხედრობამ მისდია მას პარიზამდე, სადაც „სამთა კავშირის“ დროშა აღიმართა. საფრანგეთში და მთელ კონტინენტზე ჰაერი ძალზე გაჟღენთილი იყო რევოლიუციის სუნით, თავისუფლების იდეები ჰაერში დაფრინავდნენ და რუსის მხედრობა ამ ჰაერით მოწამლული დაუბრუნდა თავის სამშობლოს. დეკემბრის ამბე

ბი, პოლონეთის ამბოხებანი და რუ
სის მოწინავე საზოგადოების თან
გრძნობა, ასობით შეთქმულობ
იდუმალი წრეები და ბოლოს
წრეებიდან გამოსულ მწერლების
გან შექმნილი პროგრესიული ლ
ტერატურა, ყოველივე ეს ნაყო
იყო რუსეთის ევროპასთან დაახლო
ვებისა. აწმყოს სარკე და მომა
ლის წინასწარმეტყველი მწერლო
ბაც კვალ და კვალ მისდევს ცხოვ
რებას, აცოცხლებს და ამოძრავე
კაცობრიობის მოწინავე ნაწილ
რუსის ჯარის ევროპაში მოგზაუ
რობამ შეავსო ის ნაცნობობა, რო
მელიც რუსეთს ჰქონდა ევროპიუ
ლიტერატურის და მეცნიერების ს
შუალებით და 1812 წლის ამბებ
იმდენად შეარყია ცხოვრება, ის
გააფართოვა ეროვნული თვითშე
ნება, რომ ყველასთვის ცხადი შ
იქმნა სახელმწიფოს სტრუქტური
ნაკლულოვანება. მთავრობამ ხალხ
სრული უნდობლობა გამოუცხად
და ისეთი რეაქცია გამეფდა, რო
პრ. ლიუბიმოვი ამბობს: „თევზი იმი
ტომ დასცურავდა წყალში და ფრინ
ველი ტყეში იმიტომ გალობდნენ
რომ ეგ მთავრობისაგან ნებადართუ
ლი იყო“-ო. მთავრობამ თავის
ბური შეხედულება შეიმუშავა რუ
სეთის ცხოვრებაზე, რუსეთის ს
ხელმწიფოზე, რუსეთის ცხოვრება
ზე, რასაც აკად. პიპინმა „ოფიცია
ლური ეროვნება“ უწოდა. ამ შე
ბნელ დროის საწინააღმდეგოდ მ
მუშავდა ის დიდებული მწერლობ
რომელსაც შეიძლება ფესვები უფ
რო ადრეც ჩაჰყროდა, მაგრამ მი
მკაფიო გამოხატულება კი გოგოლ
დან იწყება. მეორედ რუსეთის მ

---

*) იხ. ჟურნალი „განათლება“ №№ 1, 2, 3, 5—1913 წლისა

**) პროფ. ა. ცაგარელი „Свѣд. о памят. груз. письмен. т. I, ввѣд. LXXV გვ.

***) К. Маркс: „Революція и контррезол. въ Германіи“.

*) проф. Массарик. „Философія и соціол. осн. Марксизма 388—415 გვ.

ეროვნული

გზავნა სხვები. შევიწროებულმა ხალხმა, მეტი საშუალება რომ აღარ ჰქონდა, სთხოვა მთავრობას ჯამაგირიანი მამასახლისის მოხსნა. მთავრობამაც ამ შემთხვევაში სამართალი გამოიჩინა და მოხსნა მამასახლისი და სტრაჟნიკები, მაგრამ განა საზოგადოებამ ამით ისარგებლა რამე? სრულებითაც არა. ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწიაო“. ეს ანდაზა სწორედ ასკანელებზე გამართლდა. შალიკავამ დაინახა, რომ ვიღაც ქობულეთელი ჰისი საზოგადოებიდან წლიურად სარგებლობს 3170 მ.ნეთამდე. მოდი, იქნება, ეს ხალხის ზურგზე ანაგლეჯი ლუკმა, როგორმე მე მოვიგდო ხელშიო. ამ მიზნის აღსრულებაში მოსაყვანად მიმართა შემდეგ საშუალებას. მოახსენა მთავრობას, ვითომ, მას ყაჩაღები სიკვდილს ჰპირდებიან და სთხოვა მფარველად რამდენიმე სტრაჟნიკი. თუმცა მთავრობამ შალიკავას სურვილი არ დააკმაყოფილა მაგრამ, სამაგიეროდ, გამოგზავნა სტრაჟნიკებით მეჰმედ-ბეგი, რომელმაც, თუ არ ვცდები, ორი წელი გაატარა ასკანაში. მიუხედავად იმისა, რომ მეჰმედბეგი სინიდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, მისი ყოფნა საზოგადოებას მაინც დაუჯდა 6320—მანეთად. გასული წლის მარტში მთავრობამ მოგვაშორა ჯამაგირიანი მამასახლისი. ამდროს ნახევარი წლის მათი ჯამაგირი, 1500 მან. აკრებილი იყო და ვინ იცის, რამდენ ჩაილულის წყალს ჩაჰყვა... აქ ცოტა საგანს უნდა გადავუხვიო. ასკანის სოფლის სასწავლებელი მოთავსებულია ისეთ მაღლობ ადგილზე, სადაც მდინარე წყალი არ არსებობს, ამის გამოც მოწაფე ბავშვები დიდ გაჭირვებას განიცდიან, ამიტომ საზოგადოებამ გადასწყვიტა: სკოლასთან არხით წყლის მოყვანა და მოაგროვა 600 მან. საუკეთესო წყალი თავის ეზოთი უსასყიდლოდ დაუთმო საზოგადოებას ლაზარე ასათიანმა. მას შემდეგ აგერ 4 წელიწადია, და თუ გამუდმებულ წვიმებს არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა წყალი ჯერ აქ არავის უნახავს; უკანასკნელად საზოგადოების ვექილებმა თვითონ შალიკავას მოქმედებას გაუკეთეს რევიზია; აღმოჩნდა, რომ შალიკავას და სხვა მასთან ნამყოფ მოხელეებს ერთად გაუფლანგავთ ხალხის ფული 975 მან. 6 კაპ. მთელი ჯამი, რაც საზოგადოებას გადაუხდია—რამდენიმე არა სიმედო წევრის მიზეზით, დგება 15,874 მან. 34 კაპ. აქედან გამოვრიცხოთ მამასახლისებზე და სტრაჟნიკებზე დახარჯული 9,490 მან. დიდი ბედნიერებაა, თუ დანარჩენი ფულის მესამედი მაინც არის საზოგადო საქმეზე დახარჯული. თუ რომელიმე წევრმა იკითხა: სად არის ეს ფულებიო? ამის პასუხს სკოლის აივნიდან გადმომდგარი ერთი პირი გასცემს: ეს იმ ნედლომკაში მივეცით, ის იმ ჯარიმად და სხვა და სხვა, მორჩა და გათავდა. საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამგვარი უსაბუთო, ჰაერში ნასროლი სიტყვით დაკმაყოფილებული ბრუნდება სახლში. სასურველია, პატივცემული ასკანლები ფხიზელ ყურადღებას იქონიებდნენ, რომ კვლავ აღარ განმეორდეს საზოგადოების ქონებრივად ასეთი შევიწროება.

ილარიონ ჩავლეშვილი.

ახალციხე. წალვერიდან ამბავი მოგვივიდა, რომ ამ მოკლე ხანში ახალციხელებს გვესტუმრება გრ. რობაქიძე რომელიც შოთა რუსთაველზე წაიკითხავს ლექციას. საღამოს მეორე განყოფილება დივერტისმენტით დასრულდება. იმედია ახალციხის ქართველი საზოგადოება პატივისცემით დაუხვდება ლექტორსა და სტუმრებს და საღამოსაც არ გამოაკლდება.

გავლილ კვირას, ქართველ კათოლიკეთა მოძღვრის, მამა სერაბიონის ინიციატორობით მოხდა საზოგადო საუბარი, რათა ამოვარდეს მიცვალებულის გასვენების დროს ქამა-ქელეხი და შავების ჩაცმა, რასაც დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ შეკრებულნი და დაადგინეს: უეჭველად წერილობით განაჩენით შეუდგნენ ახლავე ამ მავნებელი ჩვეულების ამოგდებასა.

მთელი ზამთრიდან მოყოლებული მძინვარებს ჩვენში წითელა, ქუთეშა და ყელის ტკივილი. სახადმაც ბევრი იმსხვერპლა. იგი თავიდგან ს. უდეში გაჩნდა და 200 ბავშამდის იმსხვერპლა.

მესხი კ. გვარამაძე.

უცხოეთი

სუფრაჟისტი ქალები.

ინგლისელმა სუფრაჟისტებმა კვლავ მოატყუეს ლონდონის პოლიციელები. ამას წინად შეიპყრეს ცნობილი სუფრაჟისტი **მისტრის პანკხერსტი**, მაგრამ ახალი კანონების ძალით, სისუსტის გამო დროებით გაანთავისუფლეს ციხიდგან და თვალყურის სადევნებლად პოლიციელები მიუჩინეს. პოლიციელები ღამითა და დღისითაც მისი ბინის ახლო იდგნენ და ყოველ შემსვლელსა და გამომსვლელს თვალყურს ადევნებდნენ. ერთ ღამეს ქ. პანკხერსტის ბინას ავტომობილი მიუახლოვდა. სახლიდან პირბადიანი ქალი გამოვიდა; იქვე შეგროვილი სუფრაჟისტები უცნობს როგორც ქ-ნ პანკხერსტს ისე მიეგებნენ და ოვაციები გაუმართეს. პოლიციელები მაშინვე მიესივნენ ავტომობილს, შეიპყრეს და ციხისაკენ გააქანეს. მაგრამ გზაში ქალმა პირბადე აიხადა და მშვიდად განაცხადა, რომ იგი ქ-ნი პანკხერსტი არ არის. როდესაც პოლიციელები უკან დაბრუნდნენ, აღმოჩნდა, რომ ნამდვილი პანკხერსტი კარგა ხანია მიმალულიყო მეორე ავტომობილით. მალე გაქცეული სუფრაჟისტი ერთ მიტინგზე შეიპყრეს.

ჩინეთის სამოქალაქო ომიანობა.

აირია მონასტერი ჩინეთში. ეხლანდელი მთავრობის წინაღმდეგ მოძრაობა თანდათან ძლიერდება. ჯერ ნაადრევია იმის თქმა, თუ რომელ მხარეს დარჩება გამარჯვება, რადგან ორივე მხარემ მხოლოდ ეხლა დაიწყო ძალის შემოკრება. მხოლოდ რევოლიუციონერები იკრიბებიან ჩინეთის სამხრეთ ნაწილებში და, გაზეთების სიტყვით, ნანკინი უკვე მათ ხელშია. რევოლიუციონერებს სათავეში უდგას კანტონის გამგე ცსენჩუნ-ხსუანი, იუანშიკაის დაუძინებელი მტერი. პირველი მცირე გამარჯვებანი სამხრეთისა ჯერ არაფერს არ ნიშნავს. ჩრდილოეთისათვის უფრო ის არის საშიში, რომ მოძრაობა ასე უეცრად და სწრაფად მოედო მთელს სამხრეთ ნაწილს. იუანშიკაის მთავრობას თავდაპირველად შეთანხმებით სურდა საქმის ჩაქრობა, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან მოწინააღმდეგეთა წარმომადგენლებმა კატეგორიულად მოითხოვეს იუანშიკაის გადაყენება. ამან დიდი უთანხმოება გამოიწვია ცენტრალურ მთავრობის შორის, რომლისა წევრებიც ორ ნაწილად გაიყვნენ. სამხრეთის დეპუტატებმა პეკინი მიატოვეს და ნანკინში აპირებენ წასვლას, სადაც რევოლიუციონერების შეერთებას და ახალი პარლამენტის შედგენას აპირებენ. ამ გეგმის შემმუშავებელი სენატის პრეზიდენტია. დარჩენილი უმცირესობა პარლამენტისა, როგორც ამბობენ, დათხოვნილ იქნება იუანშიკაის მიერ, პარლამენტის სესია კი გადაიდება. როგორც ამბობენ, ბოლოს და ბოლოს აჯანყებულთ სუნიატ-სენიც მიემხრო, რომელსაც ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილება ვერ მიეღო. სამხრეთელები ძლიერ ცდილობენ, რომ როგორმე მიიმხრონ იუანშიკაის ერთგული ჯარი და ვაჭრების შორის სიმპატია მოიპოვონ. იუანშიკაი ბრძოლის ველზე წასვლას აპირებს, მაგრამ მახლობელი პირები ურჩევენ, ნუ გადასდგამს ამ სახიფათო ნაბიჯს.

რუსეთი

ოზოლის წერილი.

1-ლი სახელ. სათათბ. დეპუტატად ნამყოფი ოზოლი, რომელსაც ამ რამდენიმე ხნის წინად პროვოკატორობა დასწამეს, ამერიკის გაზეთებში აღწერს რუსეთიდან თავისი გაქცევის ამბავს. 1-ლი სათათბიროს დახურვის შემდეგ ოზოლი უნდა დაეჭირათ, მაგრამ იგი გაიქცა რიგაში, სადაც მუშათა მიტინგებზე ჰკითხულობდა მოხსენებებს. შემდეგ ს.-დ. პარტიამ გაჰგზავნა იგი შტუტარტში სტეგმანის სახელით დელეგატად საერთაშორისო კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად. შემდეგ ოზოლი ამერიკაში წავიდა 1907 წ. ეხლა კი იგი ირიცხება კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტად.

ბიუსტები სასაფლაოზე.

როგორც ვიცით, მთავრობამ აღკრძალა, რომ მურომცევის საფლავზე დასადგმელ ძეგლზე მურომცევის ბიუსტი ყოფილიყო გამოქანდაკებული. ეხლა ახალი განკარგულება მოუხდენიათ, დაჰფარონ ფიცრებით კიევო-პეჩერის მონასტერში ცნობილი მოღვაწის ოსტროჟსკის ბიუსტი, ხოლო რუმიანცევ-ზადუნაისკის ბიუსტი—ხატებით.

აივაზოვის პეტერბურგში გადაყვანა.

ცნობილი მისიონერი, დეკ. ვოსტორგოვის თანამოძმე, აივაზოვი გადაიყვანეს მოსკოვიდან პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორად. როგორც სატახტო გაზეთი გადმოგვცემს, მოსკოველი პროფესორები ამ ცნობას აღტაცებით მიეგებნენ.

ღია წერილი

გაზეთ „ზაკავკაზიეს“ რედაქტორს ი. რადიკეს.

ივანე ივანეს ძევ! თქვენი უწესო საქციელის მთელი რიგის გამო, რომელიც არ შეეფერება კეთილსინდისიერ ჟურნალისტის სახელს და რომელიც შემდეგში გამოიხატა:

1) ჩვენ ერთად და რედაქციის სხვა ამხანაგების მონაწილეობით, გაზეთ „ზაკავკაზიეს“ ფაქტიურ გამომცემელს წარვუდგინეთ მოთხოვნილება, რათა მოეცა ჩვენთვის რამდენიმე თვის დარჩენილი სასყიდელი, მაგრამ თქვენ პირადად შეუთანხმდით გამომცემელს და მიიღეთ რა დაკმაყოფილება ამა თუ იმ ფორმით, მხარი აღარ დაუჭირეთ ჩვენ მოთხოვნილებას.

2) ჩვენ, თქვენთან ერთად, თქვენივე ინიციატივით, შევადგინეთ თქვენ მიერ ხელმოწერილი, გაზეთ „ვსიო“-ში დასტამბული წერილი, „ზაკავკაზიეს“ მორიგ ნომრის გამოუსვლელობის გამო, მაგრამ ამის გამო გამომცემელთან გამოწვეულ კონფლიქტის შედეგი თქვენ არ გაიზიარეთ და, პირიქით, შეეცადეთ, რომ მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ მე დამკისრებოდა.

3) თქვენ სარედაქციო კოლლეგიაში უთანხმოება შეიტანეთ და სხვა. ამის გამო მე საამხანაგო სამართალში გიწვევთ და ჩემის მხრით სასამართლოს წევრებად ვასახელებ რედაქტორებს: „სახალხო გაზეთისა“ არისტო მაქსიმეს ძე ქუმბაძეს და „ზაკავკაზ. რეჩისა“—დიმიტრი მოსეს ძე დუმბაძეს, რომელთაც უკვე თანხმობა განმოაცხადეს. გთხოვთ თქვენის მხრითაც დაასახელოთ სამედიატორო სასამართლოს წევრები.

ჟურნალისტი **შიო დავითაშვილი.**

16 ივლისი 1913 წელი.

ქ. ტფილისი.

თეატრი და ხელოვნება

ხუთშაბათს, 18 ივლისს დ. ზესტაფონში, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში, მომღერალი **ვანო სარაჯიშვილი** გამართავს კონცერტს.

ყარსი. 12 ივლისს საზაფხულო კლუბის დარბაზში ქართულ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ა. ცაგარელის პიესა „ჭკუისა მჭირს“. წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა. დარბაზი სავსე იყო ხალხით. მოთამაშენი ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვა საზოგადოებამ.

საყურადღებონი იყვნენ: ბატონი კალატოზოვი და ზ. ბაქრაძე, რომელთაც მშვენივრად შეასრულეს თავიანთი როლები. დანარჩენ მოთამაშეთაც არა-უშავდათრა. ქართული წარმოდგენის შემდეგ რუსულად წარმოადგინეს „Ни минуты покоя“, ამანაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

ფ. ხიხაძე.

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

15 ივლისი.

ბუქარესტი. ბულგარეთის ერთმა წარმომადგენელთაგანმა განუცხადა გაზ. „უნივერზულის“ თანამშრომელს: ჩვენ სულით და გულით გითმობთ მოთხოვნილ ტერიტორიას, მოგიწოდებთ მეგობრობისათვის, ვწუხვართ ყოფილ მთავრობის მოქმედებას. რუსთა მოყვარე დანევი თავისუფალ მოქმედებას იყო მოკლებული. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ დაუთმოთ სერბიელების გადამეტებულ მოთხოვნილებას. ბულგარეთი ვერ ჩამოაგდებს მშვიდობიანობას, თუ მისი წინანდელი მოკავშირენი კიდევ შეჰქმნიან დაბრკოლებას იმ ტერიტორიის დაბრუნებაში, რომელიც ხელ-ახლად დაიჭირა ოსმალეთმა.

ბელგრადი. „პრეს-ბიურო“ იუწყება: ბულგარელებმა 15 ივლისს მიიტანეს იერიში სერბიელებზე ეგრაპალანკის მახლობლად, იმ ადგილას, სადაც წინად სერბიელებისა, ოსმალებისა და ბულგარელების შორის საზღვრები ერთდებოდნენ. იერიშით ბულგარელებმა ვერა გააკეთეს რა. სერბიელები თავიანთ ადგილას დარჩნენ, მტერი კი გაჰფანტეს. ასეთივე უნაყოფო იერიში მიიტანეს ბულგარელებმა ვლასინის ახლო.

ბელგრადი. 14 ივლისს ვენიზელოსი მოვიდა ნიშ და მაშინვე დუნაის ომლისოვოში წავიდა. იქიდან რუმინიას გაემგზავრება. ბელგრადით ვერ მოუხდა წასვლა. გზის უვარგისობის გამო.

სოფია. 14 ივლისს მნიშვნელოვანი შეტაკება არ მომხდარა არც ერთ მხარეს. ბერძნებმა მიიტანეს იერიში ბულგარეთის ჯარის მარცხენა ფრთაზე, მაგრამ ბულგარელებმა საწინააღმდეგო იერიშით მტერი უკუაქციეს.

სტამბოლი. რუსის ელჩმა 15 ივლისს გაუგზავნა წინადადება დიდ ვეზირს იმ სიმკაცრის გამო, რომელიც ოსმალებმა ფრაკიაში გამოიჩინეს. ელჩმა მიიღო პასუხი, რომ დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიანო. ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ოსმალეთს წინადადება მისცეს შესახებ ადრიანოპოლიდან გასვლისა.

სოფია. მთავრობამ შეიტანა კანონ-პროექტი პარლამენ[illegible] გადაიდოს თანხა 50.000 ფრ. დაჭრილთა სასარგებლოდ და 500.000 ფრ. მაკედონიიდან გამოქცეულთათვის. 13 ივლისს ოსმალეთის ცხენოსან ჯარის რაზმმა კაიბალარში ალყა შემოარტყა სამხედრო ბანაკს. ბულგარელებმა მოიგერიეს სამ რიგად განახლებული იერიში. მოკლულია 20 კაცი. ხოლმებულიაში შეიკრა ორი რაზმი ცხენოსან ჯარისა და 50 ბაში-ბუზუკი, მაგრამ ისინიც მოიგერიეს. ოსმალებმა ახტოპოლში ჯარი გადმოსხეს.

სტამბოლი. მემკვიდრე პრინცი იუსუფ-იზედინი და პრინცი ზიაედინი ხვალ ადრიანოპოლში მიდიან. მსოფლიო პატრიარქმა სამი მიტროპოლიტის თანხლებით ინახულა დიდი ვეზირი.

ათინა. ათინის სააგენტო უარჰყოფს ევროპაში გავრცელებულ ხმებს, ვითომც საბერძნეთმა პირობა შეჰკრა ოსმალეთთან ბულგარეთის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის. ოსმალეთთან დამოკიდებულება არანორმალურია. დიპლომატიური ურთიერთობა არ აღდგენილა. სხვადასხვა საკითხი გადაწყვეტას ელოდება.

ბულგარელების ჯარმა კსანტის დატოვების დროს თან წაიყვანა 80 მოხელე და მიტროპოლიტი მძევლად. დედეაგაჩიდან იტყობინებიან, რომ ბულგარელებმა წასვლისას მოსპეს და დასწვეს სამხედრო სურსათი, ოსმალეთის ბანკის განყოფილება, თან წაიყვანეს 240 მოხელე, მოჰკლეს 6 ბერძენი. მეფემ უარჰყო ბულგარელების წინადადება — სამი დღით სამხედრო მოქმედების შეჩერება—სტრატეგიულის მოსაზრებით.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობა დაჩქარებით აბრუნებს ფრაკიაში გამოქცეულებს, რომლებიც როდოსტომდე გემით მიჰყავთ და იქიდან კი ფეხით მიდიან სამშობლო სოფლებში. მსოფლიო პატრიარქმა ცნობა მიიღო, რომ ჩათალჯიდან ადრიანოპოლისაკენ მოძრაობის დროს ოსმალებმა მოჰკლეს 15.000 ქრისტიანე, უმთავრესად ბერძნები; პატრიარქს ჰსურს პროტესტი განუცხადოს პორტასა და უცხო სახელმწიფოთა ელჩებს. „ახალგაზრდა ოსმალებმა“ ერთხმად გადასწყვიტეს: შეინარჩუნონ ადრიანოპოლი ყოველ გარემოებაში, თუ გინდ ანატოლიის ნაწილიც დაიკარგოს ამის გულისათვის. ადრიანოპოლში ჯარისა და სურსათის გზავნა მატულობს. ოფიციალი ცნობით, ოსმალებმა ადრიანოპოლში დაატოვებინეს ბულგარელებს 150 ზარბაზანი დიდი ზომისა, მათ შორის 75 ოსმალეთის ნაქონია, 50.000 თოფი, 10.000 ტომარა ფქვილი, ერთი მილიონი ოყა პური და შესამჩნევი რიცხვი სამხედრო მასალისა.

ათინა. სამხედრო სამინისტრო იუწყება: სიმულისთან ორი დღის ომი

ძინებული ცხოვრება სევასტოპოლის ალებამ შეარყია ისე ძლიერად, რომ მთელი მისი ყალბი მხარეები დღესავით გამოაშკარავდა და ყველამ იგრძნო მისი გადაკეთების საჭიროება. რუსეთის ლიტერატურამ თავს იდვა ამ საჭიროებათა განმარტება, ძველის დანგრევა და ამ ნანგრევებზე ახალი შენობის აგება. ეს მთელი ახალი ძალა დაუღალავი ენერგიით შეებრძოლა დახავსებულ ცხოვრებას, რომელიც ისევ ბატონყმურ ქერქში იყო გახვეული. ინტელიგენციას ასეთი პრობლემა წარმოუდგა გადასაწყვეტად: „მაქვს თუ არა უფლება უმაღლეს განათლებას ვეპოტინებოდე, როდესაც ერის უმრავლესობა გონებრივ და ზნეობრივ სიბნელეშია და ეკონომიურადაც წელში სწყდება“-ო და მის საუკეთესო ნაწილმა გადასწყვიტა ამ დაჩაგრულ მოძმეთა სასარგებლოდ სიცოცხლე გაეწირა. ლიტერატურაში დამყარდა „ხალხოსნური“ მიმართულება. თითქმის ამავე დროს ევროპის ფილოსოფიურ გავლენით რუსეთის აზროვნებაშიაც ისახება ახალი მიმართულება, ეგრედ-წოდებული მატერიალიზმი, რომელიც ისეთ გამოჩენილ ბუნების-მეტყველთა თეორიების დახმარებით, როგორიცაა ლიბიხისა, ბერისა, დარვინისა, ბიუხერისა და სხვ. წინააღმდეგობას უწევდა მეტაფიზიკურ ფილოსოფიას. ამ მატერიალისტთა მარტივმა მოძღვრებამაც დიდი გავლენა იქონია საზოგადოებაზე. ორივე ამ მიმართულებამ, როგორც ქვემოდ დავინახავთ, დიდი გავლენა იქონია ქართულ ცხოვრებაზედაც, რომელიც რუსეთის ცხოვრებას ასე მჭიდროდ დაუკავშირდა.

საქართველოშიაც ძალაში იყო ბატონ-ყმობა, რომელიც ბევრი რამეთი განირჩეოდა რუსეთის ბატონყმობისაგან, მაგრამ ადამიანის ბუნების გამათახსირებელი თვისება მას ყველგან ერთნაირი ჰქონდა. როგორც ზევითა ვსთქვით*), ქართველი თავად-აზნაურობა ყოველ დარგში ბიუროკრატიამ გამოსცვალა და ოდესმე მას თუ ერის ცხოვრებაში რამე მნიშვნელობა ჰქონდა, ახლა იგი პარაზიტად გადაიქცა. ამან გაამწვავა ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობა და ამ უკანასკნელის მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. ძნელი სათქმელია, როგორ გადაწყდებოდა ბატონ-ყმობის საკითხი საქართველოში, რომ იგი რუსეთში არ გადაეწყვიტათ, თუმცა ისიც კი სათქმელია, რომ რადგანაც ერთი და იგივე მიზეზი ერთ და იმავე შედეგს იწვევს, შეიძლებოდა, აქაც ხალხის განუწყვეტელ ბრძოლას თავისუფლება მოჰყოლოდა. მე XIX საუკ. პირველ ნახევრის მწერლობა ერთიანად გატაცებული იყო იმ განსაკუთრებული მდგომარეობით, რომელსაც საქართველო პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვით განიცდიდა. მწერლობა მხოლოდ წარჩინებულ წოდების ხელში იყო და რადგანაც პოლიტიკურ თავისუფლების დაკარგვამ, გლეხებთან შედარებით, უფრო ეს წარჩინებული წოდება დააფიქრა, ამ საკითხმა დაიჭირა მთელს მათ მოღვაწეობაში სამწერლო ასპარეზზე უპირველესი ადგილი; ხალხის ვრცელ მასას ჯერ კიდევ არა ჰქონდა შეგნებული ამ პოლიტიკურ პერტურბაციების მნიშვნელობა ისე, როგორც წარჩინებულ წოდებას, რადგანაც ეს უკანასკნელი უძლურად განიცდიდა ამ ცვლილების კარგსა და ცუდს მხარეებს. **როდესაც ერს თავის დიდებულ წარსულიდან აღარაფერი დარჩენია გარდა მწარე მოგონებისა, აწმყოში საიმედოს ვერაფერსა ჰხედავს და მომავალი კი ბურუსით არის მოსილი, მაშინ მგოსანნი, რომელნიც ხალხის უმაღლეს გრძნობათა დუღილის ნაყოფნი არიან გულამოსკვნით დასტირიან ერის დამსხვრეულ იმედს, თუ აქამომდე სახმატკბილოდ ჟღერდა მათი აღფრთოვანებული ჩანგი.** ერთობ დიდი დანაკარგი იყო საქართველოსათვის პოლიტიკური თავისუფლება, ერთობ ბევრი სისხლი დაიღვარა და „თავგანწირულმა სულისკვეთებამ“ უნაყოფოდ ჩაიარა, რომ ქართულ ეროვნულ ლიტერატურაში მის მოგონებას უმთავრესი ადგილი არ დაეჭირა. პირველად ამ ხმებზე დავით გურამიშვილმა ააჟღერა ჩანგი და შემდგომ მგოსნებმა კი იგი უფრო გაამშვენიერეს, გააღრმავეს და ეროვნული შეგნება განავითარეს და დროს შეუფარდეს. ამ წარსულმა ღირსეული შინარსი მისცა მწერლობას, რადგანაც lonqa est iniuria—lonqae amlaqes, დიდი იყო უსამართლობა და ვრცელი მოსათხრობელი.

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე? რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?“ აი რა კითხვებზე ეძებს პასუხს შორი ქვეყნიდან თავის სამშობლოში მომავალი, ენერგიით სავსე ახალგაზდა „თერგდალეულთა“ ჯგუფიდან. „გული უტოკავდა და მკვლავი უთრთოდა“ (მგზავრის წერილები) მომავალ მებრძოლს, როდესაც თავის სამშობლოს უახლოვდებოდა, რადგანაც მას კარგად გათვალისწინებული ჰქონდა, რომ დაუღალავი ბრძოლა მოელოდა, ბრძოლა თავის ქვეყნის საკეთილდღეოდ, ბრძოლა თავისი ერის წარმატებისათვის. ეს მოუსვენარი სული ჩაბერა მას და ახალი სისხლი აუჩუხჩუხა სამშობლოს კარზე გადაშლილმა არემარემ, სადაც მან პირის-პირ იხილა ორგვარი მშვენიერება. მისმა პოეტიურმა წარმოდგენამ ეს ორი დიდებული სანახაობა ადამიანის ბუნების გამოხატულებად დასახა. ეს ორი ხილული სურათი უხილავ ცნებათა იყო ერთი მხრით ის ადგილი.

„,... სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან,
სად წვიმა-თოვლნი ყინულად ქმნილნი
მზისგან აროდეს არა ჰდნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ მისწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ შთენია‘‘...

მეორეს მხრით კი „თავზე ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი“, რომელზედაც გრ. ორბელიანმა სთქვა:

,,წყალნი მთით დაქანებულნი ალმასებრ უფსკრულს სცვივიან
თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან‘‘.

ამ ორ სურათიდან მხოლოდ ერთში—„დაუღალავ სტიქიაში“ ჰპოვა მგოსანმა მზგავსება თავის ქვეყნის ცხოვრებისა, იმის „მღვრიე წყალში“, მისმა გამჭრიახმა თვალებმა „მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა“ დაინახეს: იმისმა დაუღალავმა სრბოლამ მას თვალ-წინ დაუყენა „ამაღლებული და ღირსსაცნობი სახე ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა“ და გადაჭრით იგი ამ ცხოვრების მხარეს დადგა. იგი უარჰყოფდა „განზე განდგომას, მიუკარებლობას“; მას არ მოსწონდა მყინვარი, რომელსაც „ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მაღალ შუბლზე ერთს ძარღვსაც არ აუტოკებს“; იგი გადაჭრით თერგის მხარესაა და სიხარულით შენატრის მას: „ნეტავი შენ თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“,—აღფრთოვანებით განაგრძობს მგოსანი. ტყუილად კი არ არის მგოსანი „გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართვლად გაზრდილი („ყვარელის მთებს“), მისი მშობლიური სფეროა მუდამ მოძრავი და ძლიერი სტიქიონი. მისი დიდბუნებოვანი პიროვნებაც გაჩენილი იყო მუდმივი მოქმედებისათვის. ილიას თაობის მოღვაწენი ნამდვილი მოქმედნი იყვნენ და, როგორც თევზი უწყლოდ, ისე ისინი საზოგადოების გარეშე ვერ გაძლებოდნენ. ეს თაობა დამარღვეველი და იმავ დროს მაშენებელი ძალა იყო და იქით მიიზიდებოდა, სადაც შეეძლებოდა ამ ძალისათვის უფრო ვრცელი ასპარეზი მოეძებნა და მისი შეხლა-შემოხლით იგი ევარჯიშებინა. იგი იქითკენ მიიწევდა, სადაც ხალხი უფრო შეჯგუფული იყო, სადაც სიცოცხლის ზღვა უფრო ჰღელავდა, სადაც ბოროტი და კეთილი უფრო გამოჩენით ებრძოდნენ ერთმანეთს. იგი სხვებზე ნაკლებად არა გრძნობდა სამშობლოს სიმშვენიერეს, მისი მოციმციმე ვარსკვლავები მასაც კი უცინოდნენ მომხიბვლელად, ისიც სიამით გასცქეროდა საამოდ აბიბინებულ ზურმუხტოვან მინდვრებს, მაგრამ მათ პირადი სიამოვნება, სიყვარული, ბედნიერება ქვეყნის ჭირ-ვარამს ანაცვალეს და ამიტომაც გვესმის ილიასაგან ასეთი სიტყვები: „ვაი რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უდამიანოდ!... არა, წაიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავისი ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა!-“ო

სოციალური ცვლილება საქართველოსათვის მის დამოუკიდებლად სადღაც ცხრა მთას იქით წყდებოდა, და ამ მხრით ჩვენს მწერლობას არავითარი გავლენა არ ჰქონია ჩვენს საზოგადოებრივ წყობილების შეცვლისა და დამყარებაზე. მწერლობა ამ დროს ცხოვრებას ფეხ და ფეხ მისდევდა და, როდესაც მე-60 წლებში განხორციელდა დიდებული აქტი თავისუფლებისა, იგი ამ ცვლილების შეგუებას უადვილებდა გონებას. მართალია, მე-60 წლების მწერლობამ დაჰგმო ბატონ-ყმური ურთიერთობა მხოლოდ მის შემდეგ, რაც იგი მთავრობისაგანაც იქნა უარყოფილი, მაგრამ ილია თავის ლირიულ ნაწარმოებებში იმ თავითვე რუსეთის ბრწყინვალე მწერლებთან ერთად უარჰყოფდა მას.

ხ. დადიანი.

(შემდეგი იქნება)

---

*) განათლება № 1.

გათავდა ბერძნების გამარჯვებით. 12 ივლისს ბერძნებმა წამოსწიეს ზარბაზნები, განდევნეს მტერი წინა სიმაგრეებიდან და გადაიყვანეს მთავარ სიმაგრეში. შემდეგ გამოვიდა ბრძანება, ბულგარეთის ჯარზე ყოველი მხრიდან იერიშის მიტანისა. პირველმა რაზმმა დასწია ბულგარელები პაპას-გაშამდის. მთავარი რაზმის მოწინააღმდეგე ბერძნებმა გააქცია ბულგარელები სრატოვამდე. ბოლოს ბულგარელებმა უკან დაიწიეს ჯუმამდის. ასე რომ, მტერის ჯარის მარცხენა ფრთა დამარცხებულია.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

15 ივლისი.

უცხოეთი.

ვაშინგტონი. რადგანაც ამერიკელებს მექსიკაში საფრთხე მოელით, ამერიკის მთავრობამ მექსიკის მთავრობას ენერგიული მიწერილობა გაუგზავნა.

პრაგა. ბალკანეთის ომის გამო სლავიან ჟურნალისტთა კრება 1914 წლისათვის გადაიდო.

ლისაბონი. ხმები რევოლიუციის შესახებ უსაფუძვლოა. მცხოვრებლები მშვიდობიან ცხოვრებას ეწევიან.

პრაგა. ჩეხიის აგრარული პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა, აგრეთვე ჩეხიის პროგრესიულ პარტიათა კომიტეტმა, რომელთა წინამძღოლი მასარიკია, გადასწყვიტეს: პროტესტი გამოაცხადონ ჩეხიაში კონსტიტუციალურ წესების სისპობის გამო. ჩეხიის ს.-დ. გაჰმართეს საპროტესტო მიტინგები და მოითხოვეს საარჩევნო კანონდებულების შეცვლა დემოკრატიის სასარგებლოდ. პოლიცია წინააღმდეგობას უწევდა ქუჩაში მომხდარ დემონსტრაციებს. გაზეთები მკაცრ კრიტიკას უკეთებენ მთავრობის ღონისძიებათ და აღნიშნავენ, რომ მთავრობას უნდა ჩეხები ძალდატანებით დაიყოლიოს გერმანელთათვის სასარგებლო თანხმობაზე.

შანჰაი. შაბათს, ღამით შეტაკება არ მომხდარა. სამხრეთელმა ჯარმა უკან დაიწია. შანჰაის მუნიციპალიტეტმა, სალჩო კორპუსის თანხმობით დაიჭირა საგაპეის ოლქი, ჩრდილოეთით შანჰაიდან. იქ იარაღი აჰყარეს 300 კაცზე მეტს. წაართვეს 6 ზარბაზანი. ნანკინი შეამბოხეებმა აიღეს. იქ ძლიან შეტაკებას. საზოგადო აზრი, სჩანს, იუანშიკაის ემხრობა.

მადრიდი. ხმები დადის, ვითომც, ლისაბონში აჯანყება ხდებოდეს.

ოტრივი. ფრ ინავი შამბენუა ფრენის დროს ჩამოვარდა და მოჰკვდა.

რუსეთი

პეტერბურგი. ვაჭრობის მინისტრმა შეიტანა მინისტრთა საბჭოში იმ წესის პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ძიება, დაზვერვა დი დამუშავება ძვირფასი და ფერადი თვლებისა.

დაიჭირეს გაზეთ „რაბოჩაია პრავდას“ მეორე ნომერი. რედაქტორი სამართალში მისცეს 1034 მუხლის პირველი პუნქტის ძალით. იმის გამო, რომ ხმები გავრცელდა სატახტო ქალაქში, ვითომც საფოსტო უწყება აპირებდეს „მოთხოვნამდე“ გაგზავნილ კორესპოდენციებისათვის ახალი წესის შემოღებას, უწყება აცხადებს, რომ „მოთხოვნამდე“ გაგზავნილ კორესპოდენციების შესახებ საკითხი არც კი აღძრულაო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 12 საათზე, წირვის შემდეგ, გუბერნატორისა, წოდებათა წარმომადგენლებისა და საიარმუკო ვაჭრების თანადასწრებით გაიხსნა იარმუკა. გუბერნატორმა დამსწრეთა სახელით უქვეშევრდომილესი დეპეშა გაუგზავნა მის უდიდებულესობას.

მოსკოვი. სოფელ ოსტაფიევში, პოდოლის მაზრაში, ვიაზემსკების სამკვიდრო სოფელში, რომელიც ეხლა გრაფ შერემეტიევს ეკუთვნის, ძეგლი დაუდგეს პუშკინსა, ჟუკოვსკისა და თავად ვიაზემსკის.

არხანგელსკი. ტყეს მოდებული ცეცხლი დიდმა წვიმამ ჩააქრო.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნ რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ქ-ნ ო. ბახტაძისას, ბ-ნო მ. მაისურაძეს, ვ. ბახტაძეს, ქრ. ფიცხელაურს და ბოქაულს ა. გიუევს, რომელთაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს წარმოდგენის გამართვაში ქ. დუშეთში, 13 ივლისს, ამასთანავე მადლობას ვაცხადებ საკრებულოს მამასახლისებს, რომელთაც შენობა უფასოდ დაგვითმეს და ყველა იმ პირს, ვინც კი რაიმე დახმარება აღმოგვიჩინა.

მსახიობთა ამხანაგობის წარმომადგენელი
ი. ჟიჟიძე.

ბ-ნო რედაქტორო! სიმართლის აღსადგენად, გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის მახლობელ №-ში „სახალხო გაზეთის“ № 933-ში. მოთავსებულია ბ. ვლადიმერ მოსეშვილის კორესპოდენცია ს. გუბიდან. ამ ვაჟბატონს ალბად თავის თავი პრესის წარმომადგენლად მოაქვს, მაგრამ უბრალო, ანბანური ჭეშმარიტება კი არ სცოდნია; არ სცოდნია, რომ პრესის წარმომადგენელს მაღლა უნდა ეკავოს პრესის ბაირაღი და პატივს უნდა სცემდეს მკითხველ საზოგადოებას. ვ. მოსეშვილი, როგორც მის კორესპონდენციიდანა სჩანს, ისე შორს ყოფილა დაცილებული ჭეშმარიტებას, როგორც ცა დედამიწას.

ბ-ნ ვ. მოსეშვილი ხონის ნაწილის ბოქაულს ბ. კუხალაშვილს ბრალსა სდებს წესიერების დარღვევაში.

სწორედ ამაზე არის ნათქვამი: გალმა გაედავე თუ გინდა გამოღმა შეირჩინოვო. თვით ეს ვაჟბატონი, არღვევდა წესიერებას და ხალხში უკადრის აგიტაციას ეწეოდა. ახლა კი გამომდგარა და სხვას ამტყუნებს იმაში, რაშიც თვითონ მიუძღვის დანაშაული. შემდეგ განაგრძობს, რომ თითქოს ბ. ბოქაულს მიკერძოება გამოეჩინოს და თან სახალხო სკოლების ინსპექტორის მოწერილობა ხალხისათვის დამახინჯებულად გადაეცეს. მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, ნათქვამია, და ვ. მოსეშვილი რომ კარგი გამგონე ყოფილიყო, იგი დომხალივით არ აურევდა ერთმანეთში იმას, რაც ინსპექტორის მიერ მოწერი ად გადასცა ბ. ბოქაულმა ხალხს და რაც თავის მხრით ურჩია. სახალხ სკოლების ინსპექტორის მოწერილობა იყო: „გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, დაჩქარებით უბრძანოთ კუხის მამასახლისს, შეჰყაროს კრება პატარა და დიდი გუბის მცხოვრებთა სკოლის გახსნის საკითხის გადასაწყვეტად“. სწორედ აგრე გადასცა ბ. ბოქაულმა, მაგრამ საზოგადოების ერთმა ნაწილმა გამოსთქვა სურვილი, რომ ძველი ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ახლა ორივე გუბის შუა ადგილას არის მოთავსებული, გადატანილი ყოფილიყო ერთ მხარეს, ახალი კი გახსნილ იყო მეორე მხარეს. საზოგადოების ნაწილის ეს სურვილი ბ. ბოქაულმა კანონიერად იცნო და თავის მხრითაც ურჩია, რომ აგრე მოქცეულიყვნენ, თუ კი ყველანი შეთანხმდებოდნენ. მართლაც, ძველი სასწავლებელი ძალიან დაცილებულია სოფლის განაპირა ადგილებს; ეს სიშორე კი უძნელებს განაპირა ადგილების შვილებს სკოლაში სიარულს და ვისაც განაპირა ადგილებში მცხოვრებნი სოფლის უკანონო შვილებად არ მიაჩნია, მზგავსად ვ. მოსეშვილისა, ზნეობრივად მოვალენი იყვნენ ანგარიში გაეწიათ ზევით დასახელებულ კანონიერ სურვილისათვის. ვ. მოსეშვილი კი წინაღუდგა ამ სურვილს, ალბად, იმისთვის, რომ დღეს სასწავლებელი მის ახლოს არის და გადატანის შემდეგ კი ცოტად დაუშორდებოდა. მაგრამ სად არის აქ არსებულ სკოლის დანგრევა, რომელზედაც დიდის რიხით მოუთხრობს მკითხველებს კორესპონდენტი?!.. დანგრევა ნიშნავს მოსპობას, მოშლას, გადატანა კი—ადგილის გამოცვლას. ბ. კორესპონდენტი კი „გადატანას“ „დანგრევად“ ასაღებს.

ქვევით კორესპონდენტი ბძანებს, რომ ბ. ლექვინაძეს ბ. ბოქაულმა ნება არ მისცა წაეკითხა ხალხისათვის ინსპექტორის მოწერილობაო. აქ დანაშაული ბ. ბოქაულს სრულიად არ მიუძღვის: მან უკვე წაუკითხა ხალხს ინსპექტორის მოწერილობა და ხალხმაც სწორედ გაიგო; ხელახლავ ოცჯერ და ორმოცჯერ წაკითხულის გამეორება უნაყოფოდ დროს დაკარგვა იქნებოდა და მხოლოდ მათთვის იყო ხელსაყრელი, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობის სურვილს წინაღუდგნენ. ბ. ლექვინაძემ კი, რაკი ნება არ მისცეს უნაყოფოდ კრების გაცდენისა, სიტყვით შეურაცყოფა მიაყენა ბოქაულს და ხელების ქნევით და მუქარით მიმართა; მაშინ ბ. ბოქაულმა განკარგულება გასცა, რომ კრებიდან გაეყვანათ ლექვინაძე, როგორც საზოგადოების არა წევრი, რათა ამით მის მიერ დარღვეულ წესიერება აღედგინა.

რაც შეეხება მთვრალებს, რომლებსაც კორესპონდენტი იხსენიებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ||ე კრებაზე სიმთვრალე შევამჩნიეთ და, ალბად, სხვებიც შეამჩნევდნენ, მხოლოდ ორ კაცს: ესენი გახლდათ [illegible] კორესპონდენტი და მეორეც მასწავლებელი ლექვინაძე.

დამსწრე.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! ამასთანავე გიგზავნით ავადმყოფ მგოსნის ირ. ევდოშვილის შესაწევნელად 14 მ. და 29 კ. და გთხოვთ საჩქაროდ გადასცეთ. შემოსწირეს: ვ. ოთხმეზურმა—ორი მან.; ერ. ხაფთასიმ, ალ. თოფურიძემ, კ. გრიგოლიამ, გ. ბოსტაშვილმა და მუსტაფა ომორ-ოღლიმ თითო მანეთი; ი. ნაცვლიშვილმა, გ. წულაძემ, Татусъ-მა, ი. კობეშავიძემ, ს. ჯავახოვმა, მ. კიკნაძემ და ვ. ნასყიდაშვილმა—ათ-ათი შაური; კ-მ, პ. ბეჟიტაძემ და ვ. კაკილოვმა—ოროლი აბაზი; ვ. მაისურაძემ, ვ. გოჩიტაშვილმა და გ. მღებროვმა—ექვს-ექვსი შაური; პ. მანჯავიძემ და ნ. იორდანაშვილმა—ხუთხუთი შაური; ვ. ბარდაველიძემ მულანდითელმა აჰმატამ, ვ. მონავაძემ, არ. თურმანიძემ, ვ. ჯაფარიძემ ს. ოდიაშვილმა და ი. იაფორინცმათითო აბაზი,—სულ თოთხმეტი მან. და ათი შაური, აქედან 21 კ. მოულოდნელად დაიხარჯა, იგზავნება 14 მ. და 29 კაპ.

იოსებ არიმათიელი.

ამას გარდა რედაქციამ კიდევ მიიღო და გადასცა ირ. ევდოშვილს: მასწ. მეფარიშვილისაგან 1 მან., იოსებ მერკვილაძისაგან 5 მან., ევ. ივ. სარაჯიშვილისაგან 50 მ., ?? 2 მ. მინა გიორგობიანისაგან 13 მ., დათ. მესხისაგან 25 მ., ქრ. ზედელაშვილისაგან 1 მ., მიხეილ ნ. ბოჭორიშვილისაგან 4 მ., ი. ა. ტულუშისაგან 3 მ., მაისაშვილისაგან 1 მ.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 31 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საავგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საავგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ საფ. № 4/3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ საფ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები ძოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველი მა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სურამში ამ თვის 15-დან

ო. თ. კვიჟინაძისა

თაოსნობით

იხსნება თვიური კურსები

როგორც პრა-კერვისა, ისე სხვადასხვა ხელსაქმისა. მსურველნი მიიღებიან სრულ პანსიონზე ხელმისაწვდომ ფასად. მიიღებიან როგორც გასათხოვარი, ისე გათხოვილნიც. მსურველთ მიეცემათ ატესტატიც. მისამართი: სურამი, აგარაკი მლ. კვიჟინაძისა. 4/5

ჩუღურეთის შესახვ. № 5. 1-ლ კომერც. სასწავლებლის ზემოდ, ეკატერინ. ქუჩ. ბოლოს, № 7

გამოცდილი მასწავლებლები

ამზადებენ: **სიმწიფის მოწმობაზე**, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის 2, 3, 4, 5, 6 კლას. **ყველა სასწავლებლის** ყველა კლასისათვის; **აფთიაქის მოწაფისა**; საკლასო ხარისხისა და პირველდაწყ. სკოლის მასწავლებლის მოწმობისათვის. მისამართი: მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე, ნახვა შეიძლება დილით 12—1 ს. საღამოთი 5—7 საათ. 1400

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აველტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.

კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაკტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:

მ. გ. აველტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

1004

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23.

10. 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, „**შრომის**“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-25.

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა „**მემობრობა**“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის

„პატოკსან“.

„**პატოკსან**“ შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.

„**პატოკსან**“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.

„**პატოკსან**“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.

„**პატოკსან**“ ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

„**პატოკსან**“ ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.

„**პატოკსან**“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის „**გეორგი რუსინოვ და ამხ.**“ ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

მმ.

ძმზველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

ხიზილალა |ქიტკა|

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგილები**, სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები**.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

საზოგადოების გამოცემული და საკუთარი წიგნები:

მტრედი, შმიდტისა	10 კ.	საქართვ ისტორია, ვახუშტისა	2 მ.—
მამის ერთგული	15 „	სტატისტიკური ცნობ საქ. შესახებ	2 მ.—
მეფე დიმიტრი თავდადებული	7 „	უცნაური ამბავი	4 „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა	30 „	ფიზიკური გეოგრაფია, იაშვილისა	20 „
მგზავრის წერილები	7 „	ქართვ. პოეტების რჩ. ლექსები	25 „
ნაწყვეტები პოლიტ. ეკონომიიდან, ა. წულუკიძე	50 „	ქართ. სახ. სიმღერები ი. კარგარეთელი	50 „
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი	3 „	ქართ. ეროვნული სიმღ. დ. არაყიშვ.	20 „
ოქროს მოყვარულნი	15 „	ქაჯანა	5 „
ოთარაანთ ქვრივი	18 „	ქილილა და დამანა	1 მ.—
რუსულ-ქართ. ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა	2—40 „	ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტით	3 მ.—
რობინზონ კრუზე	30 „	ყვავილთა შორის	45 „
რჩეული ლექსები ი. ჭავჭავაძისა	7 „	ყოველის მხრიდან, ნ. ლომოური	10 „
სალამური, კრებ. ზ. ჩხიკვაძისა	25 „	შინაური საქონელი და მისი მოვლა	5 „
სვიის გვირგვინი	15 „	შექსპირის დრამები, ს. ყიფიანი.	20 „
საყმაწვილო მოთხრ. ეკ. გაბაშვილისა	30 „	ჩარლზ პარნელი	25 „
სახრჩობელაზე ი. ჭავჭავაძისა	5 „	ცისარტყელა სალიტერატ. კრებული	15 „
		წიგნის ისტორია, დ. კარიჭაშვილი	20 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121

ამ წლის 1-ლ აგვისტოდან

ქ. გორში კვლავ გამოვა სასოფლო-სამეურნეო და სალიტერატ. გაზეთი

„ქართლი“

გაზეთი დაიბეჭდება **ყოველ-დღე** კვირა-უქმეთა ნომდევნო დღეების გარდა. **ფასი გაზეთისა:** 1 წლით 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. და 50 კ., სამის თვით 2 მ., 1 თვით 70 კ., ცალკე ნომერი 3 კ.

პირველ ნომრებიდანვე გაზეთ „ქართლ“-ში დაიბეჭდება დიდად საყურადღებო „მოგონებანი“ (მემუარები) ოლღა ბატონიშვილისა, (მოსკოვში ახლად გარდაცვალებულ ოლღა ილიას (ირაკლი მეფის შვილის) ასულისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ია ეკალაძე-ცინცაძე.**

გაზეთის დასაკვეთი ფული და მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: **ქ. გორი, ი. ცინცაძეს.** 1377

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისი

აძით აუწყებს ტფილისის მდაბიო მოქალაქეთ:

1) რომ **მდაბიო მოქალაქეთა შორის სულზე გაწერილ გადასახადის და ნედოიმკების აკრეფა**, ბ. ბ. რწმუნებულთა საერთო კრების დადგენილების ძალით, ამიერიდან ევალება გადასახადთა ამკრეფ მამასახლისს და მის თანაშემწეთ (გადასახადის ამკრეფებს) ყოველივე თანახმად 1836 წ. 28 ივნისის დებულებისა (უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმ. საბჭოსი).

2) რომ ამა წლის 12 მარტსა და 29 აპრილს მომხდარ არჩევნებზე, გადასახადთა ამკრეფ მამასახლისად არჩეულ იქნა **იშხანოვი** მიხეილ ავეტიკის ძე და მის **თანაშემწეებად** (გადასახადთა ამკრეფებად) **პოპოვი** გრიგორი ბეჟანის ძე და ნოვიკოვი ალექსანდრე ივანეს ძე.

3) რომ, რადგანაც ეს არჩევნები უკვე დამტკიცებულია საგუბერნიო მთავრობისაგან, ამ პირთ კანონით, **უფლება აქვთ მოახდინონ მდაბიო მოქალაქეთა შორის საზოგადო ფულის აკრეფა და ამის გულისათვის შეუძლიანთ მივიდნენ მდაბიო მოქალაქეებთან: ბინაზე, სამსახურის ადგილას, ან იქ სადაც მეცადინეობს, ან სამრეწველოში, ქარხნებში, სახელოსნოებში და სხვ.** და მოსთხოვონ მათი ხვედრი გადასახადი, ჩააბარონ სათანადო უწყებები ფულის გადახდის შესახებ და შემდეგ მუდამ თვალყური ადევნონ გადასახადთა შემოტანას, დაჟინებით გაახსენონ ხოლმე მოქალაქეთ, თავის დროზე შემოიტანონ გადასახადი, მიიღონ ფული და მისცენ გადამხდელთ დაწესებული ხელწერილები. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ცხადად არ მოისურვებს თავის ნებით გადაიხადოს გადასახადი, მიჰმართონ პოლიციის შემწეობით დაძალებით ღონისძიებას.

4) რომ ზემოხსენებულ თანამდებობის პირთ მიცემული აქვთ მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისისაგან შესაფერისი მოწმობები მათი წოდების შესახებ და აგრეთვე **სახელწერილო წიგნაკები ძაფითა და ბეჭდით მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოსი**, ამასთან ბ. ტფილისის გუბერნატორის საგანგებო განკარგულებით ტფილისის პოლიციის მოხელენი **აღმოუჩენენ კანონიერ დახმარებას თავის თანამდებობის ასრულების დროს** და 5) რომ, ვინც მოისურვებს გადაიხადოს ხვედრი გადასახადი დამოუკიდებლად გამგეობაში, ინებოს მიჰმართოს წინანდებურად გამგეობის სა[illegible]როს. 1399

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.